

დარტულური

საქართველო



ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

11 აპრილი, 2014 წ.

№14 (3700)

გამოცემის 78-ე ჰელი

ვადი 1 ლარი

მუხრანის მინიჭვანისნი - 85

ღრეს ღრეობაა დიდი პოეტის - გერატის შეკრებით ყველას!

მუხრანის მაჭავარიანის საიუბილეო საღამოზე გამოსასვლელი სიტყვის ანონსი

ბატონები!

ეს-ესაა დავწერე ანონსის სათაური და იმ-ნუთას გულში ეჭვმა გამკრა: არ მინდა გაფიქ-რებინოთ, ვინ არის ეს კაცი, ჩვენს გაშლილ სუფრაზე ხალხს რომ გვიპატიუებსო!

არა, ძვირფასებო, სუფრა რა შუაშია – მე კრიტიკოსი კაცი გახლავართ და იმის უფლება ნამდვილად მაქვს, იუბილარი პოეტის საღამოზე მისი მკითხველები სადისკუსიოდ და პოეზიაზე საკამათოდ რომ მოვიწვიო!

თუმცა, რაკი საჩერებლი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობის ამბავი ვიცი, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ვინმე შეძლებულმა და ფულიანმა კაცმა – თუკი ამ რაიონში ასეთი ვინ-მეც გყავთ – მოულოდნელად გვტაცოს ხელი და საიუბილეო საღამოს დამთავრების შემდეგ პირდაპირ რესტორნის დარბაზში გვიკრას თავი!

ჩვენ ასეთი შემთხვევისთვისაც მზად ვიქენ-ბით, ბატონებო, და თქვენ კიდევ კარგი პურ-მარილით ვინც აქამდე შეგიშინებიათ, ის შეა-შინეთ!

სხვა შედეგზე არც იოცნებოთ – რა გვჭირს ადგილობრივი ლვინის მსმელების დასაჯაბნი, თვარა კი!

მეტსაც შემოგბედავთ! რაც ყველა დროის ქართველ მეფეებს ერთად ომი გადაუტანიათ, თითქმის იმდენჯერ არის ჩვენი დელეგაციის მარტო ერთი წევრი, რეზო ამაშუკელი, ქარ-თულ სუფრაზე ნაომარი და ნათამადარი!

დიახ, დიახ!.. ქართული სუფრა ზოგჯერ ბრძოლის ველადაც ქცეულა, მით უმეტეს, ისე-თი „სადისტი“ თამადის ხელში, რომლის სახე-ლიც სულ ახლახან ზემოთ ვახსენე!

რასაკვირველია, მასპინძლების დასაშინებ-ლად არ ვამბობ, მაგრამ არც ვაჭარბებ! – მე, პირადად, რეზო ამაშუკელის თამადობის დროს სუფრაზე, ჩვეულებრივი ჭიქების გარდა, ისე-თი მობილური სასმისებითაც კი დამილევია, როგორიც არაყის სახდელი როფი და ვაზის შესანამლი აპარატია, თანაც, ეს უკანასკნელი – ატმოსფერული წნევის ბოლო დაბერვამდე!..

სხვათა შორის, ამ სფეროში ჩემი მიღწევები

საბოლოო არ გახლავთ – ზოგიერთი უკეთეს შედეგსაც აჩვენებს!

მაგალითად, ჩვენმა იუბილარმა, მუხრან მა-ჭავარიანმა სიმთვრალე საერთოდ არ იცის!

ყოველ შემთხვევაში, მასთან ერთად სუფ-რაზე ორი-სამი ღამე ფეხზეაუდგომლად რომ გათენებულა, ასეთი შემთხვევა მეც მქონია, სა-ერთოდ კი, მუხრან მაჭავარიანის ერთჯერადი ქეიფის დასაწყისსა და დასასრულს კაცი თა-ვიდან ბოლომდე რომ შერჩენდა, ასეთი ვინმე არ მახსენდება!..

ძვირფასო მეგობრებო, არ მინდა, გეგონოთ, აქ რამეს ვაბუქებდე...

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ თემაზე საუბარი მაინც უნდა შევწყვიტოთ, თუნდაც იმიტომ, რომ მე აქ იმისთვის არა ვარ ჩამოსული, ჩვენი ძვირფასი იუბილარის, როგორც ღვინის მსმე-ლის, შესაძლებლობებზე გელაპარაკოთ...

დიდი მუხრან მაჭავარიანის დიდ შემოქმე-დებაზე მე ჩემს აზრს უფრო სრულად იმ საი-უბილეო საღამოზე მოგახსენებთ, რომელიც აქვე, მის მშობლიურ საჩერებში, ამა წლის 12 სექტემბერს გაიმართება!

ახლა კი თავს ნებას ვაძლევ, რამდენი-მე სიტყვა მის ჭეშმარიტ პოეზიაზე ამ მცირე ანონსშიც მოგახსენოთ!

ბატონები!

მუხრან მაჭავარიანი თავზარდამცემი ნიჭის პოეტია!


პოეზია მისი ბედისწერაა!

ან უკვე უერთმანეთოდ – ცალკე ლექსი და ცალკე მუხრან მაჭავარიანი – ვერც წარმოგ-ვიდგენია!

თუ ხუმრობაშერეული განწყობით ვიტყვით, აქ ყველაფერი მაიაკოვსკის ცნობილი სტრი-ქონივითა: ვახსენებთ ლენინს... უკაცრავად, ვახსენებთ მუხრანს და ლექსს ვგულისხმობთ, – ანდა პირიქით!..

ფიცის ქვეშ ვაცხადებ: მეოცედან ოცდამე-ერთე საუკუნის საქართველოში მუხრანზე დი-დი პოეტი არავინ გადმოგვყოლია!

დღეს იგი საქართველოში ყველა ცოცხალ პოეტს აღემატება!



უკეთესად თქმაც შეიძლება: გაღარებისა და გიორგი ლეონიძის შემდეგ „ქართული ლექ-სის დიდ სასახლეში“ ლიდერის ყვითელი მაი-სურით გამოჩენა სხვებზე მეტად მუხრან მაჭა-ვარიანს მოუხდებოდა!

თუმცა ქართულ პოეზიაში მისი ლიდერობა აქარ მთავრდება – ახლაც ხმამაღლა ვაცხადებ: მთელი ამ წლების გამავლობაში არც ერთ ქარ-თველ მწერალს ისეთი მძლავრი დარტყმა არ მი-უყენებია კომუნისტური რეჟიმისთვის, როგორც ეს „შენ, სისხლო ჩემო“-ს ავტორმა შეძლო!..

და, საერთოდ, ძვირფასო საჩერელებო, რო-დის უნდა გითხრათ თუ ახლა არა, რომ თქვენ სამკვიდრებელში პოეზიის კაბაღონზე სამი იმ სიდიდის ვარსკევლავი – აკაცი! პაოლო! მუხრა-ნი! – არის ამობრნებული, მსოფლიო ლი-ტერატურის რუქას არათუ ერთად, ცალ-ცალ-კეც რომ დაამშვენებდნენ!..

ბატონებო, როგორც ზოგჯერ ტაში გადაგ-ვეზრდება აპლოდისმენტებში, მეც ასევე რომ არ დამემართოს და ჩემი ანონსი ძრითად სიტყვაში არ გადამეზარდოს, მალე დაგემშვი-დობებით!

ეს კი ასეთი სიმწყობრით მოხდება:

ჯერ მუხრან მაჭავარიანის აღტაცების გა-მომხატველ იმ სიტყვებს შეგახსენებთ, თავისი დიდი წინაპრის, შოთა რუსთაველისადმი რომ აქვს მიძღვნილი:

„რა პატარა ქევენიდანა რა დიდია!..!“

მერე კა, თუ არ მიწყენთ, ამავე სიტყვებს მი-სი ავტორის მისამართითაც გამოვიყენებ და

► პირველი გვერდიდან

თქვენი თანხმობის შემთხვევაში დიდ მუხრან-თან დაკავშირებითაც ვიტყვი:

„რა პატარა ქვეყნიდანა რა დიდია!..“

არადა, ძვირფასო მეგობრებო, თუ ასე შევ-თანხმდებით, არ დაგიმალავთ და ამ მცირედი გარიგებიდან სარგებელი მეც დამრჩება!

საქმეც ისაა, რომ ერთხელ ამ პატარა ქვე-ყანამი დაბადებულმა დიდმა კაცმა, მუხრან-მაჭავარიანისა სასტუმრო „აჭარის“ სვეტებიან

დარბაზში, სადაც, სულ ცოტა, 1000 ადამიანი მაინც იმყოფებოდა, ფეხზე წამომაყენა და საქ-ვეყნოდ გამოაცხადა – ბატონებო, დაიმახსოვ-რები ამ სრულიად ახალგაზრდა კაცის სახელი და გვარი, სულ რამდენიმე წელინადში თქვენ ამ კაცით იამაყებთ, იმდენად გამოჩენილი პი-როვნება გახდება!..

მეც რაღა უნდა მექნა: სულაც რომ არ მნდო-მებოდა თავის გამოჩენა, ეს მაინც უნდა გამე-კეთებინა, თუნდაც იმიტომ, მუხრან მაჭავარი-ანი რომ არ გამეწილებინა!

ეს – სერიოზულად, ახლა ხუმრობითაც ვიტყვი:

დიდებისკენ მიმავალ გზაზე ზოგჯერ თავს ვიკავებდი – ისე მაგრა რომ არ გამერეება, თვით მუხრან მაჭავარიანის ავტორიტეტისთვისაც არ გადამეჭარბებინა!..

შედეგით კმაყოფილი ვარ – მგონი, ესეც მო-ვახერხე...

თამაზ ნივნივაძე

თამაზ ნივნივაძის სიტყვა, (თქმული) დაბა საჩერეში, მუხრან მაჭავარიანის საიუბილეო საღამოზე

ძვირფასო მასპინძლებო!

პატივცემულო სტუმრებო!

თავს ნებას ვაძლევ, ჩემი გა-მოსვლა მუხრან მაჭავარიანის ამ სიტყვებით დავიწყო:

„მე ის ბიჭი არ გახლავართ,

ვინგეს ბრმად რომ თაყვანს

ვცემდე..“

ამიტომ, როგორც პირდაპირი კაცი, პირდაპირ ვიტყვი, რომ არც მე და, სხვათა შორის, არც მუხრან მაჭავარიანის მეგობრების ერთი ჯგუფი ჩამოვსულვართ აქ იმის-თვის, ადგილობრივ მოსახლეობას ვუთხრათ, რომ მუხრან მაჭავარი-ანი დიდი ქართველი პოეტია!

მით უმეტეს, არც იმ აღტაცე-ბის გამოხატვას ვაპირებთ, ამ დი-დი პოეტის შემოქმედების გაცნო-ბის შემდეგ რომ გვეუფლება –

„რა პატარა ქვეყნიდანა რა დი-დია!..“

არა, ბატონებო! ჩენ აქ მხო-ლოდ იმიტომ ჩამოვედით, ჩენი პატივისცემა და სიყვარული რომ დავადასტუროთ იმ ღვთაებრივი კუთხისადმი, სადაც, ღვთისა წე-ბით, მუხრან მაჭავარიანი იშვა!..

ძვირფასო მეგობრებო, თუ ძა-ლიან არ დაგაყოვნებთ, ერთი მხი-არული ეპიზოდის შემოტანას ვა-პირებ ჩემს გამოსვლაში!..

საქმე ის გახლავთ, რომ თავად მუხრან მაჭავარიანიც იჯდა იმ სუფ-რასთან, სადაც ერთმა ჩენმა მეგო-ბარმა პოეტმა მეორეს მიმართა:

„შენ დაიბადე ყვარელში,

სადაც შობილა ილია,

მას შემდეგ დიდი კაცების

იქ შობა აკრძალულია!..“

როგორც ჩანს, ზემო იმერეთის ამ საცხოვრებელ ზოლში მსგავსი აკრძალვები არც არასდროს ყოფი-ლა, თორმე ეს დიდი კაცები და დიდი პოეტები – აკაც! პაოლო! მუხრანი! – ასე ზედიზედ და ასეთივე თანმი-დევრობით არ დაიბადებოდნენ!..

ბატონებო! არაფერს ვაჭარებებს: ამ პატარა რაიონში დაბადებული ეს სამი დიდი ვარსკვლავი, რო-მელთაც საჩერე პოეზიის პარნა-სად უკვე უქცევიათ, ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ლიტერატუ-რულ რუკას დაამშენებდა!..

დღესაც ასე მგონია, რომ ღვთაებრივი აკაკის თვალი და ყუ-რი თავისი „ცა-ფირუზ“, ხმელეთ-ზურმუხტოსკენაა“ მიქცეული!

დასაკლავი მოზვერივით განწი-რული პაოლო იაშვილის ყვირილი – „გაგიჟება სჯობს თუ გათავდა ლექსის მადანი“ – მაღლა ღმერთის

ანუხებდა და ჩვენამდე ისე აღწევ-და, „როგორც აფრის ტკაცუნი, მოვარდნილი ზღვიდან!..“

ჩვენი დიდი მუხრანი კი ძირითა-დად ქართული სისხლის მარადი-ული დინების მიმართულებას არ-კვევდა: თუ როგორ გადადიოდა, ვითარცა დვინო, ქვევრიდან ხაპში, ხაპიდან დოქში, დოქიდან ჯამში და როგორ გამოიარა რუსთველის გუ-ლი! თამარის გული! ვახტანგის გუ-ლი! სულხანის გული!..

თუ არ მიწყენთ, მცირე სუმრო-ბისთვის კიდევ უნდა დაგაყოვნოთ!

ძვირფასო მეგობრებო! ალბათ, თქმულც შეამჩნევდით – ისე დამ-თავრდა აქ დიდი ადამიანების ჩა-მოთვლა, რომ მათ გვერდით ჩემი სახელი არაა ჩახსენები!..

მაგრამ მე მესმის მუხრან მა-ჭავარიანის და ამ გაუგებრობას მხოლოდ იმ მიზეზით ვხსნი, სააკ-აშვილის ხელისუფლების ხელში ჩემი სისხლი ძარღვებშია გაყინუ-ლი და, ჰაი, ჰაი, რომ ძველებურად ვეღარ ხმაურობს!..

თუმცა იმედი მაქვს, როგორც კი ესენი წავლენ ხელისუფლები-დან, ბატონი მუხრანიც გაასწორებს საკუთარი ლექსის დაზიანე-ბულ ტექსტს!..

მანამდე კი მე ერთი აქაუ-რი, ჩემსავით საწყალი სახალხო მთქმელი უნდა გავიხსნო – გვა-რად ბიჭიკაშვილი! რომელსაც სა-ქართველო არავისზე ნაკლებ არ უყვარდა, მაგრამ განსხვავებული ფორმით გამოხატვდა.

მოვიდა ეს ყოვლად კარგი კა-ცი ერთ დღეს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში და საყვედურით გვითხრა: რა არის ამდენი ლექსის დაბეჭდვა საქარ-თველოზე – იხარჯება ქალალი, მელანი, ცვდება კალამი, იყარგე-ბა დრო და, ყველა ეს დავიღარაბა რომ დამთავრდეს, აგერ, წამოგი-დეთ ჩემი ლექსი და, თუ დაბეჭ-დავთ, თქვენც დაისვენებთ და მკითხველიც – ალარც საქართვე-ლოზე მიძღვნილი ლექსების და-ბეჭდვა დაგჭირდებათ!

თანხმობის მიცემაც ვერ მო-ვასრარით, ისე დაინტე ლექსის კითხვა:

„საქართველოვ, შენ ხარ ჩემი დედაქემი, მამაქემი, ან აშენდი, ან დამშვენდი, ანდა ვაბშე“ გადამენდი...

ბატონებო, ბოდიშს გიხდით, ერთ მცირე გამოსვლაში ამდენი გადახვევისთვის, მაგრამ მინდა, ყველაფერი გავაკეთო საიმისოდ,

დიდი პოეტის საიუბილეო საღამო-ზე მობრძანებულ სტუმრებს უკე-თესი განწყობა რომ შეგიქმნათ!

ამის გარდა, ერთი-ორი წუთი თუ კიდევ დამრჩია, გპირდებით, ან არაფერსაც არ გადავუხვევ და მხოლოდ იუბილარი პოეტის შექე-ბით „დავკავდები!“

შესაქები კი, მუხრან მაჭავარი-ანს რომ აქვს, ისეთი უნდა!

სხვათა შორის, საკუთარი მიღ-ნევით ავტორიც კამაყოფილია:

„მე არ მეგონა თუ ოდესმე,

როგორც პოეტი,

ხალხის სიყვარულს ამოდენას მოვიპოვებდი!..“

და, კიდევ:

„საქართველოში მე იმდენად გავხდი საქები,

სახელს იხვეჭენ ჩემი

ლანძღვით ავაზაკები!..“

ავაზაკები კი ჩენს ქვეყანას არც ერთ დროში არ აკლდა და, მით უმეტეს, არ აკლია დღეს, რო-ცა ამ ტიპის ყველა ყალთაბანდმა სახელისუფლო სტრუქტურებში მოიყარა თავი!..

სწორედ ამიტომაც არის, აღარც პოეტი რომ არ ეპურება მათ და საგანგებოდაც აფრთხილება:

„წუთისოფელი, თქვენ რომ

ფიქრობთ, არც ისე მიყვარს.

მოთმინებიდან, თუ გიყვარდეთ,

ნუ გამომიყვანათ...“

რასაკერველია, აქ არ წერია, მაგრამ პირდაპირ იგულისხმება – მოთმინებიდან ნუ გამომიყვანათ, თორემ... ვაი, დედას მტრისასაო!

ბატონებო, მე არასოდეს მქო-ნია იმისი პრეტენზია, რომ მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაზე სა-უბარს რამდენიმე წუთში ამოგნუ-რავდი!

მაგრამ დასასრულს ერთი მე-ტისმეტად საინტერესო ამბავი მა-

ინც უნდა გაცნობოთ – როცა ამ საიუბილეო დღეებში მის პოეზიას კიდევ ერთხელ ვეითხულობდი, იმ

ჩენოსე, ჩენოსე, ჩენოსე!

აპრილი - 89

9 აპრილი თებერვალი
1989 წლისა...

მანამდე თითქმის ერთი კვირა მთავრობის სახლის წინ ვაღამებდი და ვათენებდი. 70 წლის განმავლობაში შინ თუ გარეთ ჩაბუდებულმა სიყალებმ, სიცრუემ, ბოროტებამ, რომელსაც დიდხანს მოთმინებით, მორჩილებით უსწორებდით თვალს, ვეგუებოდით, სხვადასხვა ფორმით ვაპროტესტებდით, ძირითადად კი სამზარეულოები ნაჩრუჩულარით ვებრძოდით, იხუვლა დანაგუბარი წყალივით, გამოხეტქა და თბილისის დედა-ქუჩაზე დაიღვარა. ადამიანებს ჩამორცხა ყველაზე საშიში მტკრი - შიში, ერთმანეთი და ერთად დგომის იდეა დაანახვა...

რუსთაველის გამზირი საერთო სახლად აქცია, რომლის ბინადრებს - გალადებულებს, ერთმანეთის მიყვარულო, თავისუფლების იდეით ანთებულებს ბიბლიური თიხა ჩამორცხა საქართველოს ახალი ისტორიის გამოსაძრენად. „პირველად იყო სიტყვა“ და თავისუფლებითაც პირველი ყოველთვის ნებისმიერი რეჟიმის დაუძინებელი შტერი - სიტყვა თავისუფლება ხოლმე, როცა რეჟიმი რყევას იწყებს. აქაც ასე მოხდა, რუსთაველზე შეკრებილები სახალხოდ, უშიშრად გამოთქმდნენ, იმ დროთას თეოდეტად გაბედულ, ზოგჯერ მიამიტურ თუ უტოპიურ აზრებს. რამდენჯერმე მეც მომინია გამოსვლა. დადად არ მიტაცებდა მატინებზე მიკროფონთან დგომა, მაგრამ ხალხი ითხოვდა და უარის თქმა ლალატის ტოლფასი იყო. როცა ადამიანები ფეხზე დამდგარი გისმენენ, ცოტა უნდა ილაპარაკო, ფიდელ კასტროს თუ აპეკევი, შორს ვერ წახვალ. მეც ამ პრინციპს არ ვდალატოდ და „მაყურებელიც“ აღტაცებით მხვდებოდა, მხურვალე ოვაციებს მიმართავდა. თითქმის ორმოცდათი წლის ნაჯახირევი ვიყავი საქართველოს საუკეთესო თეატრში და მსგავსს მხურვალე, გულბოლი ტაში, მთელი ჩემი სპექტაკლები რომ გადაბა, არ მიმიღია...

წინა დღე, 8 აპრილი, კი ასე დაწყო.

ნაშაუადევს, რუსთაველის გამზირზე, რამდენიმე ტანკმა ჩაიგრუხუნა, ზეცა ბომბდამშენებმა ისე გადასერებს, ვითომ აქ არაფერია...

პროგრესტის გამოსახატავად, უკვე ერთი კვირა ქუჩაში დაბანაკებული მომიტინებით ამას არ შეუშენები, პირიქით, მთავრობის სახლის წინ ხალხი მატულობდა. მეც ჩემს შვილებთან ხარებასთან, ელენესთან და გიორგისთან ერთად იქით გავწინ.

გასვლის წინ იურა როსტს დავურეკე მოსკოვში: ბიჭო, მგონი, დახოცვას გვიპირებენ, ეს შობელძალლები-მეტები...

როსტიან 1972 წლიდან ვეგობრობ. ყოველდღე თუ არა, დღევამოვებით მაინც ვურეკავ. იცის, რაც ხდება თბილისში.

ღმის ათი საათი შესრულდა, აგრილდა. სახლში დავბრუნდით ჩაის დასალევად.



„ახლა გაჩვენებთ „ჩებია“! ვო თებე, მოუგადა მოგვდევდნენ კბილებამდე შეიარაღებულები - რკინის ნიჩებით, რეზინის ხელკეტებით, გაზის ბალონებით.

იმოდა გინება, სროლის ხმა, ქალების კივილი, შეძახილები რუსულად: „ვო თებე, მოუგადა კივილი“, მერე ქართულად: „ფირები, ფირები წაართვით, მთელი სალამო გვიღებდა ეგ ჩათლახი...“

მერე ერთად გამოვრმოდით მე და ის ბრგე ქართველი - აყალ-მაყალისა და ვილაცის ჩანიხლუების მოთავე. ფირების თავები ხელზე ჰქონდა დახვეული, ბოლოები კი სადაც, აზვირთებული მომიტინებების თავებზე ფრიალებდა.

- ვინ იყო? - ვეკითხები.

- ვინ იქნებოდა, „კაგებეშნიკი“, შემოპარული. მთელი სალამო ბზუოდა, პატრიარქს იღებდა, არ მოისვენა, დავალენეთ თავზე ყველაფერი.

- გენაცალე მარჯვენაში! - ვკოცი ჩემს თანამემამულეს, გულში კი ვფიქრობ, რა დღეში ვართ, ბიჭო, უკან რუსის ჯარი, წინ - საბჭოთა „კაგებე“, და, გაქცეულ მომიტინებებს რომ არ ჩამოვრჩე, ნაბიჯს ვუმატებ....

ის იყო, მაგიდას უნდა მივსხდომოდით, რომ კარზე ვიღაცამ დარეკა. იურა იყო.

- შენი ხმა არ მომენინა და ბოლო რეისს გამოვყევით სასხვათშორისოდ მიამდი:

თვითმურინიავში შემთხვევით შევხდი ჰანეკეს, გერმანელ რეჟისორს, რომელიც თურმე შენთან მოილინავდა „ელზას“ გადალებებთან დაკავშირებით.

გამოველაპარაკე, ფუთხარი, გოგის მეგობარი ვარ, აეროპორტიდან პირდაპირ მასთან მივდივარ სახლში, თბილიშიში რაღაც დიდი ამბავია ამაღამ მოსალოდნელი, თუ გნებავთ, წამობრძანდით ჩემთან ერთად მეთქი. გერმანული სიმშვიდით მიპასუხა:

არა, მე ხვალ, 9 აპრილს, დილის 11 საათზე მაქვს ბატონ ხარაბაძესთან პატანი „ივერიის“ წინ დანიშნული, იქ შევხვდებით.

გაკვირვებული ჩანდა იურა, მეც გამიკირდა, მაგრამ, გერმანელების ზღვარა-გადასულ მონესრიგებულობას თუ გავიხსენებთ, გასაკვირი არც არაფერი იყო,

დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა, ქევეყანა რომ დაქცეულიყო. ასეც მოხდა - არ შეცვალა. ჩვენ ქევეყანა ჩამოვვექცა თავზე, მან კი მთავარი გამოტოვა, რაც შეეძლო ენახა და რასაც ვეგორის წუნქტის გვიდეს, შევხვდებით.

დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა, ქევეყანა რომ დაქცეულიყო. ასეც მოხდა - არ შეცვალა. ჩვენ ქევეყანა ჩამოვვექცა თავზე, მან კი მთავარი გამოტოვა, რაც შეეძლო ენახა და რასაც ვეგორის წუნქტის გვიდეს, შევხვდებით.

დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა, ქევეყანა რომ დაქცეულიყო. ასეც მოხდა - არ შეცვალა. ჩვენ ქევეყანა ჩამოვვექცა თავზე, მან კი მთავარი გამოტოვა, რაც შეეძლო ენახა და რასაც ვეგორის წუნქტის გვიდეს, შევხვდებით.

დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა, ქევეყანა რომ დაქცეულიყო. ასეც მოხდა - არ შეცვალა. ჩვენ ქევეყანა ჩამოვვექცა თავზე, მან კი მთავარი გამოტოვა, რაც შეეძლო ენახა და რასაც ვეგორის წუნქტის გვიდეს, შევხვდებით.

დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა, ქევეყანა რომ დაქცეულიყო. ასეც მოხდა - არ შეცვალა. ჩვენ ქევეყანა ჩამოვვექცა თავზე, მან კი მთავარი გამოტოვა, რაც შეეძლო ენახა და რასაც ვეგორის წუნქტის გვიდეს, შევხვდებით.


დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა, ქევეყანა რომ დაქცეულიყო. ასეც მოხდა - არ შეცვალა. ჩვენ ქევეყანა ჩამოვვექცა თავზე, მან კი მთავარი გამოტოვა, რაც შეეძლო ენახა და რასაც ვეგორის წუნქტის გვიდეს, შევხვდებით.

დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა, ქევეყანა რომ დაქცეულიყო. ასეც მოხდა - არ შეცვალა. ჩვენ ქევეყანა ჩამოვვექცა თავზე, მან კი მთავარი გამოტოვა, რაც შეეძლო ენახა და რასაც ვეგორის წუნქტის გვიდეს, შევხვდებით.

დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა, ქევეყანა რომ დაქცეულიყო. ასეც მოხდა - არ შეცვალა. ჩვენ ქევეყანა ჩამოვვექცა თავზე, მან კი მთავარი გამოტოვა, რაც შეეძლო ენახა და რასაც ვეგორის წუნქტის გვიდეს, შევხვდებით.

დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა, ქევეყანა რომ დაქცეულიყო. ასეც მოხდა - არ შეცვალა. ჩვენ ქევეყანა ჩამოვვექცა თავზე, მან კი მთავარი გამოტოვა, რაც შეეძლო ენახა და რასაც ვეგორის წუნქტის გვიდეს, შევხვდებით.

დაგეგმილ შევედრას არასგანით არ შეცვლიდა ჰანეკე, ხელოვანი კაცი, მართლა კარგი რეჟისორი (მერე „კანიც“ აიღო როკერ და ოსკარიც). არ შეცვლიდა,



თარიღის გული - 75

გულოცავთ ბატონ ალი გუგუციძეს დაბადების 75-ე წლისთავს, ვუსურვებთ დღეგრძელობას, შემდგომ შემოქმედებით ნარმატებებს და ჩვენი გაზეთის მკითხველს ვთავაზობთ პოეტის ლექსებს.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია

რაც იმ ცხრა წელში მოხდა,
ითხოვს რიტუალს,
ფეხზე ადგომას,
ცრემლს და ქუდების მოხდას.

ვეღარ ვივინყებ,
ხმები ჩამესმის რისხვის,
რომელიც მეხად
შეხეთქებია სინდის:
„ქვაფენილიდან
ჩარეცხილია სისხლი,
სუყველაფერი
გეგმის მიხედვით მიდის...“

ხმები ჩამესმის
ხორხოცისა და თქვლეფის...

აწონილია
შხამის ყოველი გრამი,
განსაზღვრულია –
რამდენი სისხლი მეფეს,
ან მის სპასალარს –
რამდენი კაცის გვამი.
როგორ არ შეგძრავს
მზერა ხარბი და მლვრიე,
ვით საკონტროლო ტყვია
გავლილი ტანში...
როგორ არ შეგძრავს
მგლის ნაშიერთა მიერ
კაცის მკვლელისთვის
შეგებებული ტაში.

ვეღარ ვივინყებ...
ცრემლებს მრავალჯერ დავლევ,
რადგან მზაფრავი
მოჩვენებები მათოვს...
ო, ამის შემდეგ
ვეღარ ვუჯერებ თვალებს
და ბედნიერი
კაცის დანახვა მაქრთობს...

საახალცლო ფიქრი

მარადისობას იდუმალი იფარავს სივრცე,
ნარმავლობა კი ცეტი და მაშვალებს ისვრის,
თავსაც გვაწონებს, როგორც ნიმფა და როგორც
ფსიქე...

საით მივყავართ, ნეტავ, მის ციმციმს?..

მეც გზები უკან დასახევი
მომიჭრეს ოდით...
შემომასალა ჭრელაჭრულა დრომ, როგორც
ჩარჩმა,
მადლობა უფალს!..
ფაციფუცში ნაძივის ხის მორთვის
მავინყდება, რომ
რამდენიმე მორთვალა დამრჩა...

ჭორი

ამდენ სიცრუეს ვეღარ ზიდავს ვერც ერთი ჯორი,
ზღვიდან უბერავს, გზიდან აღწევს, ზეციდან
ბარდნის...
ისე ლამაზად მოკალათდა ნამდვილში ჭორი,
რომ ტყუილ-მართლის გარჩევისა არვის აქვს
დარღი.

ჰკიდია ჩხებად, დგას ზვინებად შორად და
შორად,
გადაგლესვია გონებასაც, საწყისს და საზრისს,
ჩახლართულია ისე ერთურთს, – ფუჭია შრომა
და ტყუილ-მართლის გარჩევამაც დაჰკარგა აზრი.

და წუთისოფლის ამ რიოში ნაზავის ბრწყინვა
საამსოფლოა?.. თუ მოექცა სიზმარ-ცხადს შორის?..
გადაინისლა ის საზღვარი გონების წიაღ,
სადაც მთავრდება სიმართლე და იწყება ჭორი.

ჩურჩულებს ვიღაც ... და მის ჩურჩულს სუნი აქვს
შმორის: –

„ბინა წააგო კამათელში, კარტში კი – ფლასი!“
უმაღლეს ფასად იყიდება ამქვეყნად ჭორი
(ტელევიზით გავრცელებულს მეტი აქვს ფასი!).

ჭორის ბუდეში ხორხოცია... და, ვინც იქ თბება,
ნამოიგიმა... წინააღმდეგ ვინ წავა ან კი?..
ჭორების რეწვის ხელოვნებამ გაშალა ფრთები, –
მოთხოვნილებაც დიდია და ნანარმიც – კარგი.

ციხის შიგნიდან ბოროტებას გაულო კარი,
ყურმოჭრილ მძევლის არსებობის უნთია შუქი...
და აი, სხვისი მეჯლისიდან გამოდის გარეთ
სიცრუის მტვერში ამოგანგლულ მოენის ქურქით.

...რა მოხდა?
უკვე დამორჩილდი ურნმუნო ძალას?..

რად ვერ განაგდე ნამდვილისგან ყალბი და
ფარსი?..

მტერს უკუაქცევ, მაგრამ ჭორით აღებულ
ქალაქს

ხომ შეიძლება გადარჩენის წავართვათ შანსი?!

ის შენკენ მოდის
ამოყრილი იმედის
ჩეგვით,
მოკუდაბზიკობს მოსულდგმულე შურის და
ბოლმის...

რას გაიხარებს!.. თუკი სადმე დაგიცდა ფეხი
და თუკი მისი თვალთახედვის არეში მოხვდი!..

მიეცი ცელი
შხამიანი ძეძვების მომჭრელ!

იყავი ფხიზლად, თორემ ჭორი შევიდა ეშხში!
იხმარე ჭკუა!..

მრისხანებას მოუხმე ზოგჯერ,
რომ ეს მაღლობი არ აღმოჩნდეს სატანის ხელში!

უცხო ზეცის ქვემ

„პოი, დედანო, მარად ნეტარნო!“

ნიკოლოს ბარათაშვილი

წყალმა წაიღო თუ ჟამმა მრეშმა –
წალებულია...
სინდისი გქენჯნის....

ხელთ შენი მაჯა უჭირავს ეშმაკს, –
თვალთმაქცობს, თითქოს არაფერს გერჩის...

უცხოა ეზო...

უცხოა კარი...

„ვინა ხარ?“ გესმის და ვერვის ჰეხედავ
მოვლილი სახლის მომვლელი ქალი,
ანუ ყოფილი ქართველი დედა...

კრთის თვალზე ცრემლი...

არაფერს ამბობს

ბედიც, ჩამჯდარი ეშმაკის ნავში...

და შორს აქედან...

და სწორედ ამ დროს

ქუჩაში მიდის უდედო ბავშვი...

- የኩ ፈይፈልም ጽሑም?
 - ልዕትበስመሰራዳቸውምა
 - የኩ?
 - ቤቱኩ አደርብበለሁ.

ასე, ცხრა-ათი წლისა ვიქენებოდი, როდესაც ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის პპროლი იდგა. ბავშვობა ჩვეული უდარდელობით მიედინებოდა და სულაც არ ვიცოდი, რა იყო ძალაუფლება. და, ალბათ, ისევ ასე სჯობდა, რადგან...

იმ დღეს დედამ მე და ჩემი ძმა ბებიასთან წაგიყვანა. მე უკვე ის ასაკი მედგა, უბანში რომ ბევრი მეგობარი მყავდა შეძენილი და ბებიაჩემთან სტუმრობას დიდად არ ვწყალობდი. თანაც გარეუბანი იყო, ქალაქის აღმოსავლეთი კარიბჭე. მაგრამ, სიმართლე ითქვას, არა ამპარტაციონის გამო, არამედ უძრავობის გამო.

ევდ უორალოდ, იაკვეუორი ჟიზით, იესი
ქუჩა მერჩივნა კველაფერს. ჰოდა, ის
იყო, მზე ჩასვლას აპირებდა, რუსულმა
ტანკებმა იწყეს სვლა დედაქალაქის
ცენტრისკენ. მახსოვეს, გზის პირას
ვიდექი იქაურ მეზობელ-მეგობ-
რებთან ერთად და გაფართოებული
თვალებით მივჩერებოდი რიხინით
მიმავალ ჯავშანტექნიკას. ბავშვუ-
რი გუმანით ვიგრძენი, რომ რაღაც
ძალზედ ცუდი უნდა მომხდარიყო –
უბედურება. მაგრამ სად? მაგ სულ
ბოლოს მივხვდი, როდესაც შავი
დროშა ვაფრიალე რუსთაველის გამ-
ზირზე.

ვიდექი ასე თვალებგაფართოებული და ვუყურებდი ამ უცხო სანახაობას. კინოფილმში თუ მენახა ამდენი საპრძოლო ტექნიკა ერთად და თანაცისეთი, აი, გაუცნობიერებელ ფორიაცეს რომ ჰგვრიდა ჩემს ბავშვურ არსებას. – ეგ დამპლებიო, წამოიყვირა რომელიდაც ჩემმა იქაურმა მეგობარმა და უმაღლ მივხვდი, რომელ მხარეს ვიდექი. მერე კი რატომდაც ერთ-ერთი ჩემი აგრეთვე იქაური მეგობრის დედამთქვა, სანცალი რუსის ჯარისკაცები. ცუდად მომხვდა ის სიტყვები, მაგრამ რატომ? ეგეც მოგვიანებით შევიგრძენი, ანუ მაშინ, როდესაც აივანს შავი ლენტები შევაბი და ეზოში აღარ მიშვებდნენ. დღემდე თვალზე მიდგას ის წამი და სიტყვები. მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი ვდგავართ გზის პირას და თვალზე უფრო მეტად „ყურით“ ვხედავ. ტანკები კი მოდიან და მოდიან. მათ კოლონას ბოლო არ უჩანს. ხმაური კი სულ უფრო ძლიერდება და მრისხანებს. და უცებ ვხვდები, რომ ეს მუქარაა. ხოლო ერთ-ერთი მეგობართავანი იძახის, „ეგ დამპლები, ეგენი“ – . ბავშვური გადაჭარბებული ემოციური ბუნებით ვგრძნობ, რომ უსამართლობა აღმართს ხნავს და სწორედ ამ დროს გაისმის მეორე ფრაზა – „საანცალი რუსის ჯარისკაცები, ეგენიც ხომ ხალხია და მაგათაც ხომ ოჯახები ჰყავთ“. კი, ბატონო, არ იყო ამ ფრაზის ავტორი ქართველი, მაგრამ ამდენად? აი, მართლა მაგათ ოჯახებში რომ შევედი ჯავშანტექნიკით, მაშინ რა ვიცოდი გინება, თორემ ამით მაინც ხომ ვიჯერებდი გულს?! და უცებ წამი გაჩერდა და თითქოს სისხლიც აღარ დაღვრილა, თუმცა კი მნუხარება უკვე დასესხებოდა გულს მომავლის ტეკილს და მეცანამდენია...“

ცრემლი მრავალჯერ დამიღვრია, მაგრამ იმ დღის სწორს, ოცი წლის თავზე, მე ცრემლი ვღვარე... „დაუკარით, რომ ძეველ ხანჯალს...“ და ეს ოთხი სიტყვა უმაღ ასოცირდებოდა უხარისხო ვიდეოფირთან, რომელზეც გამოსახულნი იყვნენ ცხრა აპრილს და-ლუპულნი. ალბათ, ვერ ვთქვი სწორად, რაც მსურდა, მაგრამ ჩემი ბავშვური სამყარო იმ დღიდან სრულიად შეიცვალა. რატომ? რატომ და გაჩნდა ჩემში ერთ-ერთი ყველაზე ქვენარე გრძნობა სიძულვილისა. არადა, რამდენიმე საა-თით ადრე ზამბარებიან ლოგინზე დავ-

ხტოდი უდარდელი და მერეც... მაგრამ
მერე კი უკვე სულ სხვა იყო.



იმ ავტედით დღეს დალამებამდე ეზოში ვიყავი. ჩემი ბავშვობის დრო-ინდელ ქუჩაზე გახლდით. ეტყობა, დედმაც რაღაც საფრთხე იგრძნო და ბებიასგან ისევ სახლში წაგვიყვანა. მეზობელ ეზოში ვიყავით ბავშვები შეკრებილი და იქ ვერთობოდით. ორ უშველებელ კუნძულ საწლის ზამბარებიანი ბადე გვეკონდა გადებული და იმაზე ვხტუნაობდით. რა ილეთს აღარ ვიგონებდით. მოკლედ, რაც შეგვეძლო ყველა დავცადეთ და ბოლოს შებინდებისას დავიშალეთ დაქანცულნი. ყველაზე ძალიან კი აი, სწორედ ეგ უდარდელი დაქანცულობა მენატრება. დრო რომელიც წამართვეს. დრო, როდესაც ოფლი გდის და სუნი კი არა.



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

მოფხიზლებას. იმუამად სასტუმროში ვმუშაობდი და იქიდან კარგად ჩანდა ცხრა აპრილს დაღუპულთა მემორიალი. ასე ოცამდე ადამიანს მოეყარა თავი მთავრობის სახლთან და სდუმდნენ. ხელში მწუხრის კელაპტრები ეჭირათ და ბაგებზე კი მოგონებანი. შემძრელი იყო მათი ცქერა და, მით უმეტეს, შემძრელი იყო შემეცნება პარადოქსისა. პარადოქსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ სწორედ იმ სასტუმროში, იმავ დროს, როდესაც ესენი აქ... იქ ვიღაც ახვრები ფოიეში კახპებს დასდევდნენ და ხმამაღლა გაიძახოდნენ, წმინდანივით ლამაზები ხართო. ისემც მაგათი... მაგრამ ახლა უკვე ბავშვი აღარ ვიყავი და ყოველგვარი გამძაფრებული განცდების გარეშე, ნათლივ აღვიქვამდი, რომ, როდესაც ესენი ბოზებს დასდევდნენ შეუფერებელი ქათინაურებით, ისინი გარეთ კელაპტრებით ხელში ლოცულობდნენ. საოცარია, მაგრამ ესეც ჩემი ქვეყანა იყო – სინანულში ჩავარდნილი ლამაზი კახპა.

მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ეს არ იყო დასასრული ჩემს მიერ აღქმული პარადოქსის ჯაჭვის რგოლებისა. ამ ეიფორიაში მყოფმა შეენიშნე ერთი ჩემკენ დაწინაურებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც ბანცალ-ბანცალით მიუყვებოდა ჩვენს ნაქებ გამზირს. ჯერ მომლოცველთ და სულთა მომხსენებელთ ჩაუარა ისე, რომ ზედაც არ შეუხედავს და მერე კი სასტუმროს თავისი ასდოლარიანი მექავებითურთ. შემდეგ გამცდა მეც და, ალბათ, თავის ყმანვილკაცობასაც. მე კი ისევ იქ ვიდექი, ვენეოდი, თან იმ ორ პარადოქსზე ვფიქრობდი, რომელთაგან ერთი წინ მედგა, ხოლო მეორე უკან, როდესაც უეცრად მესამე განზომილებაში არ აღმოვჩნდი?! ეს ჩვენი მართლაც რომ ზემოთ ხსენებული ყმანვილი, დაიღალა თუ რა იყო, არ ვიცი, უცებ შეჩერდა ერის სიამაყე რუსთაველის თეატრთან და... ქმარი შეიხსნა. ნეტა, რას პირებს-მეთქი, გავიფიქრე და, თითქოს ჩემი ამ ფიქრის პასუხად, არ ჩაიცუცეა ის ოჯახქორი?! შეუძლებელია-მეთქი და იმან კი, პირიქით, დასტურყო, რომ შეუძლებელი ამჭერად არაფერია და ადგა და პირდაპირ თეატრის შესასვლელთან არ მოისაქმა?! პჰა, ეგეც შენ-მეთქი. მიდი და განსაჯე?! აქეთ კელაპტრები და სავედრებელი ლოცვები, იქით განსხივოსნებული ბოზები და ცოდვის მორგვები და მთლად წინ კი სიამაყეზე მოსაქმებული ყოველ-დღიურობა?! სასწაულის სრულიად საწინააღმდეგოა, მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა, ალბათ, ასე, ასმეტრიან რადიუსში და თანაც ცხრა აპრილს. და სწორედ იმ ცხრა აპრილს, რომელსაც მე ბავშვობაში მოვესწარი და ჩემი შვილი კი თავის სიყრმეში ტიროდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, რადგან ცხოვრება პარადოქსია, ხოლო უფალი კი ერთი. ალბათ, უბრალოდ, რითმები იყო დატეხილი და ჩვენ კი ოთხმოცდაცხრა, ოთხმოცდაცხრაო გავიძახოდით.



დედა ნერვიულობდა, მამა იქ იყო, სა-
დაც სხვა დანარჩენი და მეც, როგორც
ყოველი ბავშვი, იმაზე უფრო პატარად
ვგრძნობდი თავს, ვიღებ ასაკით ვიყავი

დილით რომ ავდექი, მამას ეძინა.
დედა ტიროდა და, აივანზე რომ გავე-
დი, დავინახე, რომ ქალაქი მომკვდა-
რიყო. მერელა გავიგე, რომ მამას გამო-
უსწრო და ბევრს ვი ვიარ. ეს იყო წევიცა.

საბოლოოდ გავაცნობიერე, რო
შეუძლებელია, იყო რუსის ჯარისკა
ცი და ამავდროულად იყო კიდევ რ
მე სხვა. არ ვიტყვი, გიყვარდეს ან გ
ზიზღებოდეს ისინი, რახან ქრისტია
ერია, მაგრამ „იყო“-ს ნუ დამიშლი
ნუ გამკიცხავთ, რადგან „იყო“ ორთავ
ნამდვილად შეუძლიაბელია.

და მერე გაიდა მრავალი წელი დ
ჩემს ბავშვურ მგრძნობიარობას ჩ
ენაცვლა ყოფითი სისუსტე. ვერც
მივწვდი, ისე გაინურა მთელი ოცი წ
ლი. და თითქოს ისე ნაღდად, ნამდ
ვილად აღარც კი გვახსოვდა ზემო
სსენებული უბედურებანი. ეგ ეგრე
მარტო ოჯახის წევრები იჩაგრები
უსასრულოდ. თენდებოდა. ასე ექვ
საათი იქნებოდა. ზუსტად იმ ადგილ
ვთვის სათავარომ.

სამსახურში ვიყავი და გარეთ გავ
დი მოსაწევად. ღამენათევს ძალიან მ
ჭირდა ფხიზლად ყოფნა და ამიტომა
ათასი ხერხით ვცდილობდი თავის გ



არ მომიკიდა, ამისხლიტა ფიქრმა... ფანჯარას
შუბლით ვეყრდნობი. როგორ გნატრობ, იცი,
ამ დღილით?

ახლა აქედან, გზა რომ გზა... გზები არ ჩანან,
თუ დამიჯერებ, არც ეს ცაა თითქოს ნამდვილი.
კი არ მოვედი, მოვლასლასდი... რა საცნაური
სიმარტოვეა. რომც გავაგნო ახლა კარისკენ,
სად ნამსკლელი ვარ? ყველაფერი,

რასაც ავურევ,
თვითონ ლაგდება და ამ ჯერზეც აღბათ
გავრისკავ!
ახლა გაზაფხულს გავაგრძელებ ზამთრის
კიდიდან,
უფრო სევდიანს, ვიდრე იყო შარშან, შარშანინ.
პატარა ბიჭი ყოჩივარდებს მარდად ყიდის და
იქვე იებით მეორეა... მასაც აქვს შანსი,
რადგან გაზაფხულს ყიდულობენ ქალაქელები,
მიაქვთსახლებშის სურნელება მთების, კორდებისა
ვდგავარ სარკმელთან... მამულავნებენ ახლა
ხელები,
ცოტ-ცოტა ყველა – მიხარია, ვწუხვარ,
ვლონდები...
არ მომიკიდა, ამისხლიტა ფიქრმა... მერე რა...
მქრქალი ცის ფერი გადმომედო. გნატრობ
ამ დილით.
სისულელეა ყველაფერი (ცრემლი მერევა) ...
ამ გაზაფხულზე მხოლოდ სევდა არის ნამდვილი!

გამოჩენდი... თვალებს ფერი შემატე,
გზა უცნაური სხივით გაპრენინდა
და ახლა მანძილს ჩემგან შენამდე
მე ვერ ვამჩნევ თუ... იქნება არც ღირდა
ის სითამამე, მე რომ ავანთე...
ფიქრი ნისლივით სულში ჩამოწვა.
გისიზმრე (მშვიდი ძილი წამართვი)...
შეგვკოდე – მინამ მეტი (კა მომკა!

არ მეშინია.
ეს მზე ამოდის
და გაირინდა ზღვა სულ ცოტახნით.
ამ საოცრებამ დამათმობინა
შენი სურნელით სავსე ოთახი.
კიდეც ცოტა და ყველა სიმაღლეს დავთმობ,
ყველა ზღვარს გადავაბიჯებ.
რა გითხრა, წერას აუტანიხარ შენც....
მაცოცხლებელ ხმაურს არ მირჩევ!
სულს გახელილი ფართოდ თვალების
აშლილი ფერი არეტიანებს.
დამათმობინე ახლა ფრთხებიც და
შენს ცხელ სურვილში მახეტიალე,
რომ პარიალდეს მზე და ზღვასავით
ჩვენც გავირინდოთ, მხოლოდ ცოტახნით,
რომ ზედ მიეფშვნას კედლებს თოვლისფერს
ამ შეშლილობის მოწმე ოთახი.
აახმაურ გული.

განმომისახურების განვითარების მინისტრი

აქამდე უშენობას რომ უნდა ეფლითა,
გამიზიარე შენი ხანძარი –
განახლებული ნდომის ფერფლიდან.
ნუ გეშინა!
ეს მზე ამოდის –
ვერშეცნობილი ნათლის ანფასი.
მეც მნათობივით გული მევსება
და შენს სახელს ვწერ ცის სველ დაფაზე.

Page 36 of 38

უხერხულია, ახლა დავლონდე...
ეს სიცივეც ხომ მზისკენ მიბიძგებს,
მე მაინც მინდა, ერთი გზა გვქონდეს
და იყოს ეს გზა თუნდაც ბინდისკენ!
განა ცრემლია ოხრად მარტოდენ,
არის თოვლიც და არის ზამთრის ცა...
შენი თვალები თუკი მათბობდნენ
აქამდე, ახლა მზერამ გამცრიცა...
შენი რა ბრალი, მე ვერ ვივარგე,
ვინ შემიყვარა დღემდე (შფოთი ვარ!)
ისე, რომ ღირდეს ამ უხიაგი
და ვერშემდგარი ყოფის მოტივად?!

សេរីនិយាយដែលមានការងារ

უს ცა ჩამოაქვთ ფიქრებს ძოლტებად...
უკაცრიელში ორნი ვსაუბრობთ.
ვერც ვამჩნევ, ისე ნელა მშორდები,
შენა ხარ ახლა შორს, თუ ცა უფრო?!
განა გაყვედრი იმ ცხადს, ამ სიზმარს...
როგორც შენ იტყვი, ისე დამთავრდეს!
გადაგივინებ, აბა რას ვიზამ,
განა ამ სულელ გულზე გადარდებ?!
შენ ხომ იმიტომ მოდი, ღიმილით
მწვა და იმ მზერით კიდე – მარბიო –
ვიცი. ალვიქამ ამ სუსსს სიგრილედ,
ვგრძნობ, შემოვრჩები დიდხანს ამბიონს...
ვილოცებ – ღმერთო, მკლავდა სიცივე
მისი მარჯვენის... არ მძინებია
ღამეები და (დარდი ვიცი მე!)
მას გულიც როგორ გაციებია!
ღმერთო, რა მძიმე სევდას მაფარებ,
ხომ უნდა გავძლო ერთმა მიწაზე!
რა ცოტა მზე და სითბო მაკმარე...
ტკივილს როგორი ჟინით ვიტაცებ!
და კი არ ვძრაზობ ახლა ამაზე,
სახეს ალმაცერ მზერას ვარიდებ,
მხოლოდ იმიტომ, ღმერთო – ლამაზად
იმ ერთადერთის გზიდან წავიდე!
ისე ლამაზად... როგორც ნისლიან
და ცადაზიდულ მთებზე ყვებოდა...
გმადლობ, უფალო, რომ შემიძლია
ფიქრი – „იქნება, დამვინეუბოდა!“
განა ვაყვედრი იმ ცხადს, ამ სიზმარს,
მხოლოდ... პირისპირ ვრჩები ავდართან.
ფიცმა გაკანრა გული... რას ვიზამ...
მან ისურვა და კიდევ დამთავრდა!

რა მოხდა მერე, თვალები ჩაქრნენ...
მზერა ხომ მაინც მხნე და მშრალია.
იმ ლამაზ დღეებს შენს სახელს ვარქმევ...
ეს თეთრი ღამე ჩემი ბრალია
(კი არ ვწუნუნებ, ისე, უბრალოდ...) –
გადამეფარა აშლილს, გზნებიანს
და გაფიქრებაც მზარავს, უფალო,
ხვალ-ზეგ როგორი გზა ან გზებია...

გიყვები ახლა, რადგან უნდა გელაპარაკო...
რაზე? ყველაზე – ჩემზე, შენზე, მთაზე, არაგვზე-
სხვა არჩევანი ფიქრისფიქრად დაშლილს
რა მაქრო,
უნებურად ხომ ტკივილით და დარდით ამავსე...

ჩემზე გეტყვი, რომ... გამოექცა სისხლი
საფეხქელს,
მაჯა ხმაურით დაილენა, გატყდა ლავინი.
მახსოვა – სოხუმი დაეცაო – მაშინ ასე თქვეს
და კიდევ – ბევრი დავმარხეთო... რა
დამავიწყება!

არ წამოვსულვარ, სული გარჩა წინვოვანებში –
ასე მეგონა. თურმე, როგორ მიამიტი ვარ...
ვძლებდი (შენ ალბათ გაიოცებ) ყველას გარეშე,
თუმც გულმა ჩუმი, ცხელი ცრემლით ბევრჯერ
იტიორა.

ჩემზე სხვა არც რა... შენზე უნდა გითხრა,
რადგანაც
ამ გულში შუქად, დაულეველ სითბოდ შემოდი!
უკვე ეს მთებიც ისე მხნედ და მშვიდად არ
დგანან,
როგორც მშვიდად და უხმაუროდ იდგნენ...
შენამდე!

განა ვერ ვხვდები? უცაბედად აირია გზა,
ახლა (წუნუნი მე არ ვიცი) ჩუმად ვიდარდებ.
მერე რა, თუკი დროს არსაით აღარ მიაქვს და
სასურველ ტკივილს სიკვდილამდე უნდა
ვიტანდე!

სხივიც კი...

ან რა ვენა ახლა, იმ თვალებს რომ ვეღარ
ვივინყებ.

გამოჩედი რაღაც უცხაურად, ლაღად... რა ცუდ
დროს
(გეუბნები და ეს გამხელა, იქნებ, არც ჯობდეს)...
მე რომ დამინდოს, ვინ დაინდო განა საწუთრომ
და მეც ხომ არ ვარ ის – ვიყო და ცრემლი

არ ვიცი, არა, ამ არეულ გზაზე ვივლი კი
ისე, რომ აღარ გამოვედო სიკვდილს! ისე, ხომ
ყოველთვის მეტად საფრთხილოა ვიწრო
ბიობ ვი...

თუ ავდგე ახლა და ღიმილით გადავიჩეხო?!

.....

არაგვის ხმაურს გადაფარავს როცა ფიქრები,
ტყიანი ჭალა და დაუმდება, მუზად რომ ვკმარობ
(ეს ე. ი. როცა, მალე, მთაში იქნები),
მინდა, ამ ლექსმა შენებული ღიმი მოგგვაროს!

ჩვენ ერთი გვქონდა გზა და ფიქრიც კი.
ბარდიდა. მხრებზე თოვლი გეფინა.
მე ცისკენ მხოლოდ ოდნავ გიბიძგე
და სივრცემ მაინც დაგიზეპირა.
შიში უცები შენი დაკარგვის
შემიჩნდა. როგორ გავძლო, მითხარი.
რა ვუპასუხო, — „რა გემართება?“
ან — როგორ ხარო, — როცა მკითხავენ...

რა გაიოცე? წამით შენს თვალებს
ისეთმა ელვამ გადაუარა,
რომ „გამარჯობა“ ღიმით შევცვალე
და... მოგიკითხო ახლა თუ არა...

.....
დამშვიდობება იყო ისეთი,
მე რომ ვიცი და შენც რომ გაქეზებს
მარტობისკენ. გაუჩინარდი
და ავიფარე ხელი სახეზე.
ბედი დამატყდა – ყველა სიყვარულს
შენთან მოვყვე და ერთხელ ვერ გითხრა...
სხვას ხომ ყველაფერს ჯვარი სწერია,
როგორ ხარ-მეტქი, მაინც მეკითხა!



● (ისეთი დიდი იყო სოფელი)

ისეთი დიდი იყო სოფელი,
გზის პირას იდგა ხის ძველი ქოხი
და თოხის ტარზე იჯდა შოშია,
წვიმა რეცხავდა ძველ თიხის კრამიტს...
ერთი და ორი, სამი და ოთხი,
გზის პირას იდგა ხის ძველი ქოხი.
ისეთი დიდი იყო სოფელი,
ისეთი დიდი ჰქონდა მუცელი,
ისეთი ჭრელი ეცვა ხალათი,
გაჰქონდა მთელი დღე მასლაათი.
ამ გზისპირეთში, ამ ხის ძველ ქოხში
ცხოვრობდა ჭია, ისიც ჭიანა, მღეროდა—
ერთი და ორი, სამი და ოთხი.
ისეთი დიდი იყო სოფელი,
თეთრი ბილიკი ცას მიბჯენდა,
გზის პირას იდგა ხის ძველი ქოხი
და მისთვის არვინ არ ირჯებოდა,
იდგა და იდგა,
წვიმა რეცხავდა ძველ თიხის კრამიტს,
არ ჰქონდა დარდი დროსა და ამინდს
და თოხის ტარზე იჯდა შოშია,
თოხი ელოდა თავისთვის პატრონს,
პატრონს, რომელიც ახლაც ოშია...
და იდგა ქოხი, იდგა გზის პირას,
ფასი, რომლისაც ახლა გროშია.
ისეთი დიდი იყო სოფელი,
ისეთი ცივი იყო სოფელი,
ისეთი ხარბი იყო სოფელი,
ისეთი დიდი ჰქონდა მუცელი.
გზის პირას იდგა ხის ძველი ქოხი,
ერთი და ორი, სამი და ოთხი...

●
მხრებიდან ჩამომფერთხეთ მტვერი,
მტვერი ქატოსი და ფქვილის,
სახსრებმა დამიწყეს მტვრევა
და ფიქრებს წისქვილები ფქვავენ.
მხრებიდან ჩამომფერთხეთ მტვერი,
სასაა თეთრი და გაშრა,
მხურვალე თონე იკრავს
ლავაშებს ქართულს და მლაშეს.
მხრებიდან ჩამომფერთხეთ მტვერი,
თვალები გამექცა ცისკენ,
ისეთი ნათელია, წმინდა...
გუგუნებს თონე და ვისმენ,
ლოცვებს, ლოცვებს
მარჩენალი პურის,
პურის, მეპურე რომ აცხობს,
როგორ უხარიათ, როგორ,
გვერდებდაბრანულა ანცებს.
მხრებიდან ჩამომფერთხეთ მტვერი,
არ ვიცი ფქვილია თუ ქატო,
ისეთი ტყივილია, ღმერთო,
სულში სიმბურვალე ატანს.
გიზგიზებს, გუგუნებს თონე
და აცხობს მეპურე პურებს,
ისეთი მადლია და სევდა,
როცა ხელებს ცომში ურევს.
მხრებიდან ჩამომფერთხეთ მტვერი,
მტვერი ქატოსი და ფქვილის.
აქ ცამაც დაიწყო მტვრევა
და ფიქრებს წისქვილები ფქვავენ.

განაცხადის უკრისტი

● (დამიუთოვა დედამ პერანგი)

დამიუთოვა დედამ პერანგი,
კრახმალ-ლილიან წყალში გაავლო,
თეთრი თოვლის სურნელი ქროდა,
როცა ვიქენევდი ფრთებივით მკლავებს,
თოთო ტარზე მეყარა ხორკლი
და ხორცის შიგნით ვატარებდი
ალისფერი ატლასის სარჩულს.
დამიუთოვა დედამ პერანგი,
თავს ევლებოდა ყველა ნაწიბურს,
და მარგალიტის ბისერებით შემიბნია
ნაზამთრალი ბუდე, გულისპირი,
შიგ მოაქცია მიტოვებული ჩემი ბავშვობა,
ისე გაათბო, მოფერა და უერთგულა...
დამიუთოვა დედამ პერანგი,
კრახმალ-ლილიან წყალში გაავლო,
ცხელი ცრემლებით დანამა და...
დედა მოგიკვდაო, გენაცვალე!
გაუცედაო შენს თეთრ პერანგს
გატეცილი იმედის ფრთები?!
შეელახაო მარგალიტის ბისერებს ფერი?!
მამას არ ვეტყვიო, თუ დაფლით
ალისფერი ატლასის სარჩულიო, დედა!
მამა ცოდნა, გული ეტკინებაო,
ჩემო ერთადერთო და ნალოლიავებო შვილოო,
დედა!

● ტორტმანებს მიწა

და კერკეტ კაკალს კბილებით ამტვრევს.
და როცა ბუდე ენგრევათ ბარტყებს
და ცივი სუსხი დაუკლის დილას,
ფრთებს წააფარებს დედა ბეღურა
ქარით წაქცეულ ხმელ „ოქროს ვილას“.

● დაბლანდულია დარაბები

დაბინდულ დილის,
დაუანგულ დუუებს
დაატარებს დახეთქილ დრუნჩით,
შემოეხვია შემორდვეულ,
დაფლეთილ სხეულს,
უდალი მზის სხივი
უტიფარი, მწველი და ურჩი...
დამწვა, დავნებდი, დავმორჩილდი,
დამება ენა...
და აუდარუნდა ცისმიერი ცაში ეუვანი,
ფაფუკ ლრუბლიდან მოინდომა
თეთრი რძის წველა
დაორსულებულს მარტობით დილა მემუავა.
დაბლანდულია დარაბები
დაბინდულ დილის...

● ჩემს ზამთარს როგორ

ყინვის სუნი აქვს,
სილვები დააქვს
თვალის გუგებით
და ზარმაც ფანტელს,
ცივს და უნიათს
ხელისგულები ხაფანგს უგებენ.

● არის დღეები, როცა ჩვენი

განმარტოება,
ამ ცივ ეცდლებში დაიბუდებს
და დადებს კვერცხებს,
დაობლებული დედა ბოძი
ჩვენი საუფლო,
დაფრთიანებულ, ფრთამოტეხილ
წინილებს გვეძებს.

● წრებრუნვის ციკლი მილიონს ითვლის
და ციფერბლატზე ისრების ჯერი

აკეთებს დარტყმას და გულის რითმის

ცხოვრებისეულ ეიფორიას...
დეფორმირებულ წიკწიკა ისრებს
დროის და სივრცის უბადლო მისნებს
და ხერხემლის ტვინს – ზამბარა ბისერს
უსასრულობის პლანეტა ისევს.
ისევს და ... თალო და გაცრეცილ ნისლებს,
თვალის კაკლებში ბრწყინვალე ისრიმს,
მოკაკულ მთვარეს და ვარსკვლავთ სცენას
დრო უმოწყალოდ ბასრ ისრით სერავს.

● ჩუმად ამოცურდა დილა საკვამურთან,
ფანჯრებს მოსწოლია ზამთრის თალხი ნისლი,
თოვლის სველი წვეთი კარზე აკაკუნებს,
მე კი ვერა ვბედავ, მეშინა მისვლის.
მეშინა, ვნახო თვალში ცივი სუსხი,
გულზე დამაწვება სევდის მძიმე ზვავი,
მერე მზად მექნება უთვალავი ნუსხა,
რომ არ გაპატიო, არ დაგიდო ზავი.

● (დედაო ანას)

დედაო, დამლოცე...
თოვლით არემარე
ისე მოიმსუყა,
გზაა ნისლიანი,
გულზე ხვიარებად
სისხლის იარები
გველივით მგესლავენ.
მხრები ჩამომთალა

ცხოვრების აკიდო ცოდვებმა...

დედაო, დამძიმდა

ყველა გზა და
ყველა ბილიკი ღმერთამდე.

დამლოცე დედაო,

ასეთი დაღლილი, უმწეო,

მზებ ზურგი მაქცია

და მამლის ყივილით

აღარ მითენდება პირიმზე.

და ასე, დედაო,

დამათრევს ცხოვრება ცაცია

უდვოთ და ეკლიან ბილიკზე.

დამლოცე დედაო,

სულში გუგუნებენ ზარები,

სისხლი ალისფერი ლავაა,

ჩემში უღმერთობის ბზარები

ცოდვიან თვალებს მალავენ...

დედაო, ცა ხოა კამკამა,

მკრთალი, ნაზი და მოწყავე,

ცისფერი იები რიურაჟზე

ჩემს საფლავს ცრემლებით მორწყავენ.

დამლოცე, დამლოცე დედაო,

ვარ ჩვილი შველივით გულმფრთხალი...

გფარავდეთ კალთა ლენისმშობლის,

მადლით გენიოთ უფალი.

● გამოვკიდე დაჩრჩილული

ბებოს ძველი საბნები,

მზებ შეჭამოს, ამოკენკოს

სევდიანი ზღაპრები.

მივაფინე აიგაზე

ჟღალი შალის ფარდაგი,

მონატრებამ ყელი ჩამწვა,

როგორც ტკბილმა ბადაგმა.

ირეკლება მზის სხივებში

ყვავილების მინდორი,

ზედ პეპლები ფრიალებენ,

სიყვარულის სინდრომი.

გამოვკიდე დაჩრჩილული

გული, მზეზე გავფინე,

არ მეშვება, ჭინკა მიჭამს,

ჭინკა მიწის საპირე.

ნაურათევი

ქალი რვეულიდან

„დე ფაქტო“ თუ დეფექტი?

ჩვენს უბედურ სამშობლოში
ვითარება ასეთია –
რესუბლიკად დაგვიწესეს
„იუზნაია ასეტია“.

ტელეგადაცემების კვალდაკვალ

წაქცეულია კედელი ყველა
და კარიც ღია არი ყოველი,
გავისრისებით, არა აით შველა,
გვიტევს შიიტი, იელოველი...

სარეკლამო ფურცელი

არც სამაჯური ოქროსი
და არც ბეჭედი ტოპაზის;
მაქს ერთადერთი სურვილი –
ლუდი მწყურია თოფაძის!

ჩვენი საშველი არ ჩანს

(ჭაბუას მოდელი)

მართვა ქვეყნისა არ ძალუძს ქართველს,
სახიფათოა გზაც რუსეთური,
უსასობა სულს გვაცლის, გვართმევს,
კვლავ არ გამოჩნდეს სოსო – სეთური.

მენინავენი

(„პუსტ-ავანგარდისტები“)
ყოფვა რა ვთქვი ამათი,
რა დედებმა შობეს,
იმედი აქვს არაერთს,
განუკითხაობის.

თითქოს ქვეყნად არავინ
იყოს ამათ გარდა;
ვაი, პოსტზე მწერლობის
დგანან ავანგარდად.

პირველობას, ეტყობა,
ალარც ერთი არ თმობს,
სამს, ამ ავან-გვარდიას
გავკრათ გარდიგარდო.

მთავარს მივხედოთ
ზოგჯერ კრავი უნდა იყო,
ზოგჯერ – ძალლი, ბასარა,
დაიხსომე, მნიშვნელობა
რასა აქვს და რას – არა,
არის ჩეხა, ჩახაჩუხი,
ჩოხას უტევს მაზარა,
ჩვენი უნიათობაა,
თავი რომ შემაზარა.

ლვინის რეკლამა

თუ დალიე „კოტები“,
გნახვენ კისერმოტეხილს.

პუშკინი – გამბურთავებელი

მტრისას, თუ რეგვენს თავ-ყბაში მოსდო,
არ მოეშვება დაცინვის საგანს,
შავ დღეს აყენებს გრაფომანს, ხვოსტოვს,
ჩონჩხს, „ოსტოვს“ ტოვებს ხვოსტოვისაგან.

ასე ხდება

რაგინდ არ იყო ბრძენი, ტიტანი,
გამოგსრუტნიან გულს ლიფსიტანი.

გია ჩხატარაშვილს – ფოტოხელოვანს

(მეგობრული შეხუმრება)
გამოფენა რო მოაწყო,
არ გეყოფა ასი სტენდი;
ნება დამრთე, ჩემო გია,
ვიყო თქვენი ასისტენტი.

ველარაფერი გადაგარჩენს

გინდ ყარამანი იყავი,
გინდ გერქვას იაგორაო,
თუ ბედისწერამ შენი ქვა
საფლავთან მიაგორაო.

თავშერცხვენილი

შენს არ კმარობდი ულუფას,
ლირფო, მე მომეც ზიანი,
ბოლოს ჩაფლავდი, საფლავში
ჩახვედი პირლაფიანი.

სანამდე?

არვის აწუხებს თუ მამულს
იარა მოუშუშდა,
სამშობლოს გამყიდველები
კვლავაც ეძებენ მუშტარს.

სკულის გამყიდველი

გლეჯა, ტაცება გახდა ხელობა,
რამდენი ვიცი, იქცნენ ფულებად,
მძვინვარებს ირგვლივ ცოფი, მკვლელობა,
ვის დაკარგვია მართლმსაჯულება.

ასე მნამს

რად ღირს, რა თავში ვიხალო
ბრიყვის ძაგება ან ქება,
ჯანდაბას იქით ორთავე,
ყველაფერს მართავს განგება.

არ გვემეტება

ვეშაპთა ჩასანთქავი
სად გვაქვს, გეთაყვა, თავი?!

უვარგისნი

გვარტყვია დაღი, ანუ „კლეიმო“,
ლვინო – ზენყალი, პური – ზეუმი,
რა გვიხარია და რას ვზეიმობთ,
უქმი ნივთების ვართ მუზეუმი.

გადიდკაცებული პამპულა ჰერსონალურ მანქანაში

თუ არ შენთვის, მითხარი,
ვისთვის დადგა მა ეს დრო?
გაჭიმულხარ მინისტრად,
თუქსუსების მაესტრო.

გაპოროტებული ძალლები

მე მინახავს ქუჩის პირას
მონკავნკავე გოშიები,
კანჭში გეცემიან, როცა
უამი უდგათ მოშიების.

იოლი ექსპერიმენტი

ამას არ უნდა მსჯელობა დინჯი,
კუდიანების აილე სინჯი,
არ მწამს რებუსი, არც ოხუნჯობა –
მუდამ მახინჯად რჩება მახინჯი.

ამტუტებული უბანი

ეს ცხოვრება მიდის ასე,
ტკივილი არ დამცხრობია;
არ თავდება ჩემს ქუჩაზე
ტორტობანა, ნამცხვრობია.

ილიასი არ იყოს

ვიცი, რამ შვა ტბა ცრემლისა,
ყველა ყრუა, ყველა ცრუა,
ყური შუის, საქართველო
ქვეყანა შხამთაშუა.

ზნეს ველარ შეიცვლი

(ცხოვრების მიწურული)
ეს გზა ასევე უნდა გალიო,
ხარ უტიტულო, ურეგალიო.

თავშერცხვენილთა შემხედვარე

ტყვია მკარი, ჩამომახრჩე,
გინდა მარჯვენა მომჭერი,
არავითარ სიგლახეზე
არა ვარ ხელის მომწერი.

მცირე გამონაკლისის გარდა

უნიჭოების დადგა დროება,
სასაცილოა მათი „ნადური“,
საბას საბაბით დაჯილდოება
ხდება ათასგვარ მაკულატურის.

დასახსომებელი

თუ ქცევით ხარ სიბარიტი,
ვერ დაგდალავს სიბოროტე;
ღვთის და კაცის გქონდეს რიდი,
შეინანე, თუ რამ სცოდე.

უხერხული შესახედია

ხან ისე ხარ, ხან – ასე,
ხმას და გავას ანაზებ;
შენნაირის გაჩენა
არ ღირს ამ ქვეყანაზე.

უვარგისნის რანაირად ვეგუებით

თქვენ თუ სულ არ განუხებთ,
მენალვლება მე რაში –
გმირად გამოცხადება
ბილნის, გაიძერასი?!

ნამეტანი მოგდის

ნულარ იღვრები ოდებად,
ვარდს ჩააკონე ვარდივე,
იკმარე მიდებ-მოდება,
ცხოვრება გაიმარტივე!

„დაჩაგრული“

ტიპი ჭყვირის: სალაფავის
გეჯას ვერ მოვარგე დინგი,
ხეირი ვერ ვნახე ვერსად,
სულ სხვებს დარჩათ მარკეტინგი,
გალოკილი თითოვით ვარ,
ვირისაც არ მერგო ტლინკი.

მემუცლეთ კასტა

იპოვეს აზრი – ჭამენ და სვამენ,
არც კითხულობენ, ვის რა დანანდა...
რა დამრჩა სხვა მე, ის ბრძენი სვამი
უნდა ვიკითხო, ვივეკანანდა.

გულა ვორია

ალის პოვერენსიანი



დაიბადა 1946 წელს, გიუმრიში. დამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკურ უცრნალგაზეთებში რედაქტორად. ამჟამად სომხეთის მნერალთა კავშირის პროზის სექციის ხელმძღვანელია. ავტორია ლიტერატურათმცოდნეობის, კინომცოდნეობის საკითხებზე ბევრი პუბლიცისტური სტატიისა. გამოცემული აქვს არაერთი წიგნი. მისი ნაწარმოებები მრავალ ენაზეა თარგმნილი. დაჯილდოებულია სომხეთის მნერალთა კავშირის ორდენით – „ლიტერატურულ სფეროში ნაყოფიერი მოღანეობისთვის“; მსოფლიო სომხური კონგრესის, რუსეთის სომხების კავშირისა და სომხეთის მნერალთა კავშირის პრემიით – „სომები 21-ე საუკუნის დასაწყისში“.

შუადღესაც არ იყო მიტანებული, რომ ხუთი კილო თაფლი უკვე გაყიდული ჰქონდა. სიხარულისგან ხტუნაობა მოუნდა. ტროტუარზე აქეთ-იქით დადიოდა და მხიარული ხუმრობა სურდა გამვლელებთან, რომელთა უმრავლესობა მას იცნობდა, თუმცა მის სახელს სწორად ვერავინ ამბობდა. შოგიერ ეძახოდნენ (შეღიკ სახელი სომხეთში დარჩა). უნდოდა რაღაც კარგი ეთქვა პეტიასთვის, რომელიც ნაგვის პატარა ურიკას მოაგორებდა და გასძახა: „კაზიონი”, ჩემს ნაჩუქარ პალტოს რატომ არ იცვამ? ჩემს სულგანათლებულზე კარგი ხარ? ერთი-ორი საათის შემდგებ გალეშილი სადმე დაეგდები ამ სიცივეში, გაცივდები და მოკვდები.“ „ნუ გწყინს, შოგიც გაგორება. ხვალ რობერტ სარქისოვიჩის ნაგავი უნდა გავიტანო. დღეს რომ ჩამეცვა, შეიძლება ზედ რამე ჩამომლვროდა“. „რობერტ სარქისოვიჩის ნაგავი შენ გაგაქვს? თუ ასეა, შენი პენიცილინის ბოთლი მოიტა, თაფლს ჩაგისხამ“, „დავკარგე“, თავი მოისაწყლა პეტიამ, ისეთი სახე მიიღო, თითქოს სადაც იყო, ატირდებოდა, მაგრამ ხელგანვდილი და თავდახრილი მაინც მიუახლოვდა შოღიკას პატარა ციცხვს. „ხვალ ცხელი წყლით ხელებს კარგად დაიბან, გაიგე?“ შოღიკამ პეტიას მუჭაში ნახევარი ციცხვი თაფლი ჩაუსხა. პეტია ხელისგულს დიდ ხანს ილოკავდა. ამდენი ტკბილის ჭამისგან შეიძლება გულიც ამერიოს, განა უკეთესი არ იქნებოდა, ამასწინანდლივით პატარა ნაჯერი ძეხვი მოეცა? ან ერთი ნახევრი საათით მაინც გავეთბე თავის თბილ უბეში, მერე თუნდაც წიხლი ამოერტყა, გარეთ, პირდაპირ თოვლი გავესროლე. „პეტია, – უცებ დაუტკბა შოღიკი, – მაგ პროფესორის ნაგავში ისეთი რა ყრია?“ „საჭმელი არაფერი არ არის, შოგიც გაგორება, მაგრამ ისეთი ყუთებია, გადაირევი. ოღონდ ყველაფერს კარგად ლოკავს, სუნიც არა რჩება. რა ქნას, მარტოხელა კაცია, ფულს წიგნებსა და ხილში ხარჯავს. აი, ის კუროპატკინები კი სუფთა ხალხია. არც ძალილი ჰყავთ და არც კატა. ბავშვის ნაკერი თუ გადაგდებული,

კულტურული ძეგლების მდგრადი განვითარების სამსახური

შეხედა, — მაგ ნაძირლებს თავი დაანებებე
ქმარს, სულერთია, უკან ვერ დაიბრუ-
ნებ, იმით დაკმაყოფილდი, რომ ჯერ არ
გევარებიან და მშვიდად ივაჭრე. თანაც
სიმართლე გითხრა, შენი ქმარი შენი შე-
საფერიც არ იყო. რამდენი ხანია რაღაც
მინდა გყითხო. კუბოს თავთან რომ იდექი
თავს რატომ იკლავდი? არა, მე შენთვეს
თაგვის წამლის მშობნელი არა ვარ”. შო-
ლიკას კისკისმა ფროსია გამოაფხიზდა.
აქ უკვე პროფესორის სავიზიტო ბარათის
მოშველიება გახდა საჭირო. „პროფესორს
თაგვები ანუსხებენ. ჩემი მოგვარეა. მინდა
დავეხმარო. შენ კი რაღაცები გელანდება
ფრონია. აბა, შემომხედვე, თაგვის წამლის
მჭამელს ვგავარ? სხვებისთვის მიჭმევია,
ვისთვისაც მიჭმევია, ისინი თაგვები იყ-
ვნენ“. „თუ ასეა, — დაწყნარდა ფრონია,
— გეტყვი. გვერდით ვეტერინარული ცენ-
ტრია. იქაც ვმუშაობ დამლაგებლად და
ეგ წამალი მინახავს. ადგილსაც გეტყვი
ოღონდ მე მაგას ვერ გავაკეთებ. სუფთა
ხელების პატრონი ვარ და ასე მინდა ჩა-
ვიდე სამარეში“. „ჯანდაბას იქით წადი
ფრონია“.

შოლიკას დროის დაკარგვა არ უყვარს. მაღაზის გამყიდველს ცოტა ქერი სთხოვა. იმას ქერი არ ჰქონდა და ორი მუჭა ხორბალი მისცა. ვეტერინარულის დარაჯას ხორბლით სავსე ცელოფანი უჩვენა და უთხრა: „თაგვის წამალი უნდა განვიახლო“, — და მხარული ლიმილით იმ ადგილას მიყიდა, სადაც თაგვის წამლის გროვები ეყარა. შეაქუჩა, ცელოფან-ში ჩაყარა, სამაგიეროდ, ცოტა ხორბალი დატოვა.

საღამოთი, როცა თაგვების სადილო-ბის დრო იყო, მათ ხორბალი მიირთვეს. არ ეყოთ. მამა თაგვემა განაცხადა, ჩემს მოგვარუებთან გადავალ სტუმრადო. მისი მოგვარუები იყვნენ პროფესორის სახლში დაბადებული, გაზრდილი თაგვები რომლებიც ზუსტად ამ დროს შოლიკას მიერ დაყრილ თაგვისნამლიან ხორბალს მიირთმევდნენ. როცა ავრორამ თავისი ოჯახით, ამ ბოლო დროს ქალაქში ახლადგა კეთებული მიწისქვეშა გადასასვლელებით, დიდი ზარ-ზეიმით პროფესორის თაგვების ბინას მიაღწია, აქაური თაგვები უკვე ბანცალებდნენ და აქეთ-იქით ეცემოდნენ. ავრორამ იცოდა, რომ მის ათესავებში ლოთობა ჯერ გავრცელებული არ იყო და გაოცდა, რადგან ესენი

ფესორი მოვიდა და, ეს გროვა რომ ნახა,
გაოცებისგან თვალები დაჭიტა. არასო-
დეს გაეგო თაგვის ნამლით დახოცილი
თაგვების ასე ლამაზად დაწყობა. დათვ-
ლაც კი შეიძლებოდა, თორმეტი იყო. ან
ოხრებს იუნგისა და ჰეგელის წიგნები გა-
ეფუქებინათ და ახლა ახალ გზებს ექტ-
დნენ თურმე კარადაში კარგად ჩაკეტილი
ძველი ბერძენი, ინდოელი და რომაელი
ფილოსოფოსების ნაშრომებთან მისასც-
ლელად.

„შოგიკ-ჯან, ძალიან კარგი წამალი დაგიყრია. დიდი მაღლობელი ვარ. ერთი კილო თაფლიც მინდა ვიყიდო“. შოღიკა

ადამიანის ბუნებას კარგად იცნობდა. იცოდა, რომ პროექტორი მაღლობას ეტყოდა, თავსაც იყიდდა,

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ საშინაო ტანსაცმლით სამუშაოდ წასვლის მაგივრად სახლის პატრონს – მარინას, ლურჯი ქურთული სთხოვა ერთი-ორი საათით. ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც გაანგარიშებული ჰქონდა. გარდა ამისა, რობერტ სარქისოვიჩმა სთხოვა, იქნება, ერთხელ სახლი დამილაგო და მომიწერიგო, რასაკვირველია, გარკვეული ანაზღაურების ფასადო. სიტყვა „გარკვეული“ შოღიყას არ მოეწონა, „ანაზღაურება“ კარგად იყო ნათქვამი, „რასაკვირველიაც“ ცუდად არ უდერდა, მაგრამ იმის მაგივრად, ეკითხა „მაგალითად რამდენად“ -ო, შოღიყა ჩიტივით აჭიკეტივდა: „რას ბრძანებთ, რობერტ სარქისოვიჩ, რა ანაზღაურება, რის ანაზღაურება. განა შეიძლება მოგვარეობს შორის ასეთი წვრილამინი ანგარიში არსებობდეს? თითქოს საქმეები თავზე გადამდიოდეს“. „გადამდიოდეს“ კარგად არ გამომივიდა, ალბათ, „სხვათა შორის“ უნდა მეხმარა. „სხვათა შორის, საღამოობით მარტობისგან ლამისაა მგელივით ვიყმუვლო“. პროფესორის თვალებმა, ეტყობა, გარკვეული გადაწყვეტილება მიიღეს – აქამდე თაფლის ჭურჭელზე, მაღაზიის კარზე, დაბრეცილი ნაგვის ყუთზე რომ დაბორიალებდნენ, ახლა შოღიყას მოლაპარაკე ბაგეზე აცოცდნენ, ალბათ, მგლისა და ყმუილის ამბავს აზუსტებდნენ. იქნება, საჭირო არ იყო „მგელი და ყმუილი“ რომ ახსენა? რასაკვირველია, საჭირო არ იყო. „არ დაივეროთ. ცხოვრებაში არ მიყმუვლია; მაშინაც კი, როცა ქმარი მომიკლეს ამ პირუტყვებმა.“ თვითონვე იგრძნო უხერხეულობა პროფესორის მაგივრად. ეს დიდებული, საუცხოო კაცი იდგა და ამ თაფლის გამყიდველთან საუბრობდა. „მეუღლე მოგიკლეს?“ – შოღიყამ პროფესორის „შენობით“ მიმართვა შეურაცხყოფად მიიღო. იქნება, თავისი ახლობლობით უნდა მოგვარე ქალის გულისტკივილი შეამსუბუქეს? „აქ კაბიკ-კაბიკ გზის ფულს ვაგროვებ, ამერიკაში რომ ნავიდე“. პროფესორს გაოცებისგან თვალები დაუელმდა. „ჰო, სომხეთი აღარ მიმიღებს. სამშობლომ რაც მომცა, ყველაფერი გვყიდეთ, გაცვალეთ. მე და ჩემს ქმარს გვინდოდა, ცოტა ფული შეგვეგროვებინა და უკან წავსულიყავით. ვერ მოვასწარით“.

ავრორას ოჯახი დიდი ამბით გადმოვიდა პროფესორის ბინაში საცხოვრებლად. აქ თბილოდა. გადაწყვიტეს, ისე ეცხოვრათ, რომ პროფესორი მათი გადმობარების შესახებ არ მიხვდიდოსკუ.

„საქმელი სხვა ადგილებში ვიშოვოთ,
პროფესორსაც რაღაცით დავეხმაროთ“.
პირველ დღეს მთელმა ოჯახმა ერთი ცე-
ლოდანის პარკი ბრინჯი მოზიდა. დედა
ავრორამ თითო ცალობით დაარჩია, შო-
თავსარომა არ ეწეოდა.

აბა, შოლიკამ რა იცოდა და ამ ბრინჯით
ფლავი მოამზადა. პროფესორმა შეაქო,
ეგონა, შოლიკამ თავისი ჯიბის ფულით
იყიდა ბრინჯი, მაგრამ არაფერი უთხ-
რა. შოლიკაც დარწმუნებული იყო, რომ
ბრინჯი პროფესორმა იყიდა, ამიტომ მო-
უწონა: „ბრინჯი ძალიან კარგი იყო. ქვის
ერთი ნაფხვენიც არ ერია“. პროფესორს
ეგონა, შოლიკა იმიტომ ღაპარაკობდა,
რომ ბრინჯის ფული მიეცა, მაგრამ მოც-

და ამჯობინა. დედა ავრორამ სამი ცალი სკუმბრია მოიტანა. ერთი ცოტა ძველი იყო. ორი ცალი უფრო ახალი, სამზარეულოს მაგი-დაზე დადო. ერთით მთელი ოჯახი კარგად დანაყრდა.

შოლიკას სახლში გამხმარი ტარეუნა
ჰქონდა გადანახული, გაიქცა და მოიტანა.
პროფესიონალი სახლში რომ შემოვიდა, ტარ-
ეუნით შეზავებული თევზის სუნი იგრძნო
და თავი ძლიერ შეიკავა, აღალ დასავით

2026 RELEASE UNDER E.O. 14176

რომ არ გადახვერდა შოლიკას, მაგრამ თქმით ისევ არაფერი თქვა. „საუცხოო თვეზია“, – განაცხადდა შოლიკამ და, ეგონა, პროფესორის გემოვნება შეაქო; პროფესორი კი ფიქრობდა, თევზის ფულს ითხოვოს. ისევ გადაწყვიტა, ცოტაც მოეთმინა. ჭამა. ძალან გემოვნელი იყო. შოლიკას პერიტი: „ეგ შენ ფულ შენიახ. აქ გადამიდი და იცხოვრ. ამერიკაში წასასვლელი ფულიც მალე შეიგოროვდება“. შოლიკა ბავშვი არ არის. კველაფერი ესმის და კველაფერ გაეგება, ასეთი სიეთე უმიზეზოდ არ ეთდება. პროფესორის ნახვრად მეორეტ თავს უყურებს, კეთილ თვალებს; ხედავს, კველა პილი ადგილზე აქვს, თუმცა დაზიანებული კილის სუნი გრძნობს. „თუ მიზანშე-წონილად ასე მიგაჩინათ... პროფესორი აგრძელებს: „აი იმ პატარა ოთახი დაიძინებ. დილაპოით შენი თაფლის გასაყიდადაც წახვალ“. „კარგი“. – შიგინდან აჭიქიდა ვიღაც უცნობი შოლიკა. ერევანში ბინის გაყიდვის, თვითმფრინავის ბილეთის ყიდვის, მეუღლის საშინელი სიყვდილის შემდეგაც არ შეუწყვეტია რისკთან ყოველ-დღიური თამაში.

მეორე დღეს მამა ავრორამ ერთი ყუთი მაკარონი დაითრია და სამზარეულოს მაგიდასთან ძლიერ მიიტანა. ყუთი გახვრეტილი აღმოჩნდა და, რაც გზადაგზა დაიფანტა, ავრორამ დიდი მზრუნველობით სოროში შეზიდა. მოგვიანებით დიდი სიამოვნებით მოულებინებ.

შოლიკა ფიქრშიც კი ვერ დაუშვებდა, რომ პროფესორი უყურადღებო კაცად მიერნია, იმისდა მიუხედავად, რომ გახვრეტილი ყუთი ვერ შეამრნია. შოლიკას რომ სცოდნიდა, სად იყიდა, წავიდოდა და გამყიდველს თავში მიახლიდა, მაგრამ ისიც ხომ ადამიანია, ოჯახი ჰყავს; კველა გახვრეტილი ყუთიდან ცოტ-ცოტა რომ აიღოს, ერთ დღეს ოჯახი მაძლრად დაიძინებს. პროფესორი კი ფიქრობდა, რომ მაკარონი, თევზი, ბრინჯი დიდი არაფერია, მაგრამ, როცა ქალის ხელში მოხვდება, უკვე საჭმელად იქცევაო. გადაწყვიტა, ერთიანად ერთ კარგ თანხას მისცემდა შოლიკას, მაგრამ ისევ მოცდა ამჯობინა.

ავრორა და მისი ოჯახი კამაყოფილი იყენებ და ბედნიერად გრძნობდნენ თავს; ლამაზმობითაც, ცდილობდნენ, მაძლრებს დაეხინათ, საჭმლის საშიგნელად აქტერ-იქტით რომ არ ეხეტიალათ და არ ეგნანუნებინათ. დედა თავი კი ძალიან გაამჟყმებული ბრძანდებოდა, რომ მისი ქმარი, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილ კაცად იქცა; შეიძლება ითქვას – ახლა ორ ოჯახს ინახავდა. და, თუ ლრმად ჩავუკვირდებოთ – სამსაც-საკებას საშოვნელად მამა თავი არ კოტუ ძალიან წვალიბდა, ეგ იყო, რომ ძებნას მიპერნდა დიდი დრო; თანაც იმის შემიც ჰერნები არ მოხვერილიყო. ისიც საკითხვია, უსაფრთხო ადგილი ახლა სადმე თუ კიდევ არსებობდა. ძალზე წინდახედულად იქცეოდა. არც წიგნი გამოუხრავს, გემოთიც არ გაუსინჯავს – ეზიზღე-

ბოდა წიგნის სუნი. ერთხელ კვერცხის მოსატანად მთელი ოჯახი დაასაქმა. საქმე იმავე დამეს მოამთავრეს. ჯერ კვერცხების ყუთი მოათრიეს, მერე მეზობლის სამზარეულოდან ოცდათო კვერცხი გადმოზიდეს, ყუთში ჩაალავეს. კველამ თავისი წილი აიღო, სოროში შეიმანებ, ჭამეს და დაიძინებს.

დილით, როცა შოლიკა კვერცხებს მაცივარში ალაგებდა, არც უფიქრია, ყუთი ნაკლული რატომ იყო. თხუთმეტი კვერცხი ირი კაცისთვის საკმარისზე მეტია. აქ გადმოსვლის მერე შოლიკას არც ერთი ლამე მშიერს არ დაუძინია. რობერტ სარქისოვიჩიც ძალიან ნაზად ეპირობოდა, ისე, როგორც ძვირადიორებულ, მაგრამ იაფად ნაყიდ მტვერსასრუტს, ჭურჭლის ან სარეცხის მანქანებს. თანაც ეს კველაფერი ერთში, შოლიკაში იყო გაერთიანებული და არც დიდ ადგილს იყავებდა სახლში. შოლიკა პროფესორის მიცემულ ფულს და თაფლის გაყიდვით მიღებულ თანხას აგროვებდა, მერე მწვანე დოლარებად აცცევდა. ერთ მშვენიერ დღეს ადგა და ამერიკაშიც წავიდა... მამა ავრორამ, ცხადია, ამ დღის შესახებ არაფერი იცოდა, ქათმის ბარკალი მოათრია და სამზარეულოს მაგიდაზე დადო... პროფესორმა დახედა, დასუნა და სანაგვეში ჩააგდო. მამა ავრორამ არ იცოდა, რა ექნა. სანაგვედან ქათმის ბარკალი რომ ამოელო და სოროში შეეტანა, პროფესორი მიხვდებოდა, რომ სახლში თავგვები ისევ გაჩნდება. თავგვა მა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა, სამზარეულოს მაგიდაზე ადარაფერი დაედო. რასაც იშმოდა, სოროში შეეტანა და ცოლ-შეილი შეენახა. მაგრამ ერთ დღეს პროფესორმა თავისი ფეხსაცმელში სამი დღის წინ დაყრილი წრუნუნები რომ ალმარინა, მიხვდა, მის სახლში თავგვები ისევ გაჩნილიყვნენ და იმაზე დაიწყო ფიქრი, თავგვის წამალი სად ეშვნა. შოლიკამ კი უთხრა, სადაც შეინახა, მაგრამ... მერე ტყუშ თავგვებს ველარ მოეთმინათ და სამზარეულოში დაებული კველის ნაჭერი გამოიხეთა. კაცმა რომ თქვას, შე იჯახაშენებულ მონაფესორი, რატომ მაცივარში არ შეინახე, გარეთ რას ტყვებდი?

და აი, ავრორასა და მისი ოჯახის გაწყვეტის დღეც დადგა. ამ დღეს კველა მხიარულად იყო, კარგად მიირთვეს და, პროფესორის ხერინვის ხმა რომ შემოესმათ, გამოვიდნენ, იცეკვეს, იძღერეს. მაგრამ, აი, ცეკვა როგორდაც არ გამოსდორდათ, ბატონებულებდნენ და აიტავე ეცემოდნენ. დედა ავრორა მიხვდა, რომ მისა შვილიდი სიკედილით ერთად ცეკვავდნენ და ეს იყო ძალიან წერილი ცეკვა. მხოლოდ მომაკვდავი მამა ავრორას ულვაშევე მიმერალი მეტისმეტად ეშმაური ლიმილი აკვრევებდა. აბა, რა იცოდა, რომ მამა დამაკბული ბატარა ავრორუება თითქმის ძალით ჩატენა შოლიკას ხელჩათაში და ახლა უკვე სამშვიდობოსაა – ამერიკაში.

თარგმანი

დათუნა გიორგი გილიანი

მ კ ი თ ს ვ ე ლ თ ა ს ა ყ უ რ ა დ ლ ე ბ რ დ !

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკორ ან მიაკითხო პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქართველოს (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმას ქ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესების ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:

ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“

კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

ს ი ღ რ ე ბ რ დ ა მ ა რ დ ი ს ა პ ე ხ ე

დარადიული ვარ დამნაშავე
და ჩემი ბრალი არაფერია!

ლაშა ნადარევიშვილი

ედუარდ შევარდნაძე მეოთხედ საუკუნეზე მეტი მართავდა საქართველოს. ჩვენს ქვეყნის სტალინის გარდა არ მოიძებნება მეორე მოღვაწენა რომ ალაზანის გარეცხილებაში არ არის. კველამ თავისი წილი აიღო, სოროში შეიმანებ, ჭამეს და დაიძინებს.

დილით, როცა შოლიკა კვერცხებს მაცივარში ალაგებდა, არც უფიქრია, ყუთი ნაკლული რატომ იყო. თხუთმეტი კვერცხი ირი კაცისთვის საკმარისზე მეტია. აქ გადმოსვლის მერე შოლიკას არც ერთი ლამე მშიერს არ დაუძინია. რობერტ სარქისოვიჩიც ძალიან ნაზად ეპირობოდა, ისე, როგორც ძვირადიორებულ, მაგრამ იაფად ნაყიდ მტვერსასრუტს, ჭურჭლის ან სარეცხის მანქანებს. თანაც ეს კველაფერი ერთში, შოლიკაში იყო გაერთიანებული გეორგი და არც დიდ ადგილს იყავებდა სახლში. შოლიკა პროფესორის მიცემულ ფულს და თაფლის გაყიდვით მიღებულ თანხას აგროვებდა, მერე მწვანე დოლარებად აცცევდა. ერთ მშვენიერ დღეს ადგა და ამერიკაშიც წავიდა... მალაზათ, ბატონი არა არის. კველამ თავისი წილი აიღო, სოროში შეიმანებ, ჭამეს და დაიძინებს.

ალბათ, ბატონი ედუარდი იმ უიშვიათეს ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მოღვაწენა სტალინის გარეცხილებაში არ არის. კველამ თავისი წილი აიგო, სოროში შეიმანებ, ჭამეს და დაიძინებს.

ალბათ, ბატონი ედუარდი იმ უიშვიათეს ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მოღვაწენა სტალინის გარეცხილებაში არ არის. კველამ თავისი წილი აიგო, სოროში შეიმანებ, ჭამეს და დაიძინებს.

ალბათ, ბატონი ედუარდი იმ უიშვიათეს ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მოღვაწენა სტალინის გარეცხილებაში არ არის. კველამ თავისი წილი აიგო, სოროში შეიმანებ, ჭამეს და დაიძინებს.

ალბათ, ბატონი ედუარდი იმ უიშვიათეს ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მოღვაწენა სტალინის გარეცხილებაში არ არის. კველამ თავისი წილი აიგო, სოროში შეიმანებ, ჭამეს და დაიძინებს.

ალბათ, ბატონი ედუარდი იმ უიშვიათეს ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მოღვაწენა სტალინის გარეცხილებაში არ არის. კველამ თავისი წილი აიგო, სოროში შეიმანებ, ჭამეს და დაიძინებს.

ალბათ, ბატონი ედუარდი იმ უიშვიათეს ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა მოღვაწენა სტალინის გარეცხილებაში არ ა